ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მზიანეთი“-ს
დამფუძნებელთა კრების

ო ქ მ ი №1/12

ქალაქი თბილისი

9 დეკემბერი, 2013 წ.

კრებას ესწრებოდნენ:

ინდ.მენაშენეთა ამხანაგობა „მზიანეთი“-ს დამფუძნებლები:
დავით პირველი, ნუგზარ ორდენიძე, ნატო ხაჩიძე და მურმან ნიკაჭაძე

კრების თავმჯდომარე: დავით პირველი
კრების მდივანი: ნატო ხაჩიძე

დღის წესრიგი:

1. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „მზიანეთის“ (შემდგომში „ამხანაგობა“) თავმჯომარის უფლებამოსილების ფარგლების დაზუსტება.
2. ამხანაგობის ახალი თავმჯდომარის არჩევა და შესაბამისად ამხანაგობა „მზიანეთის“ სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში (2004 წლის 14 აგვისტო რეესტრი – 1–23210) სათანადო ცვლილებების შეტანა.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოსულმა **ამხანაგობის თავმჯდომარემ** დავით პირველმა, კრებას მოახსენა, რომ არსებობს პრეცენდენტი იმისა, როდესაც ამხანაგობის თავმჯდომარემ მიმართა სასამართლოს, ამხანაგობის ინტერესების დაცვის მიზნით, მაგრამ თავმჯდომარე არაუფლებამოსილ პირად იქნა ცნობილი, რადგან ამხანაგობა „მზიანეთის“ დაფუძნების შესახებ ხელშეკრულება (რეგისტრირებულია რეესტრში №1–2321) არ შეიცავს ამხანაგობის თავმჯდომარის სპეციალური უფლებამოსილებების ჩამონათვალს. დავით პირველმა ასევე განაცხადა, რომ ამხანაგობის წინაშე მდგარი პრობლემები, მრავალფუნქციონალური სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელთა გადაწყვეტა დღემდე ვერ მოხერხდა მოითხოვს ამხანაგობის თავმჯდომარის შეცვლას.

კრებამ გადაწყვიტა:

1. დავით პირველი (პ/ნ 01007006048) გათავისუფლებული იქნეს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „მზიანეთის“ თავმჯდომარეობიდან (შეუწყდეს ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსთილება).
2. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „მზიანეთის“ თავმჯდომარედ არჩეული იქნეს, ნუგზარ ორდენიძე (პ/ნ 01017001736).
3. ამხანაგობის თავმჯდომარეს ნუგზარ ორდენიძეს (პ/ნ 01017001736) მიენიჭოს წებისმიერ ინსტანციის სასამართლოში (ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის წინააღმდეგ) რა დროსაც იგი უფლებამოსილი იქნება

ამხანაგობის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, მათ შორის აღძრას სარჩელი, გადასცეს საქმე არბიტრაჟს, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, ცნოს სარჩელი, შეცვალოს სარჩელის საგანი, მორიგდეს, შეიტანოს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების, მათ შორის ქონების დაყადაღების მოთხოვნით, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, წარმოადგინოს გადასახდევინებლად სააღსრულებლო ფურცელი, მიიღოს მიკუთვნებული ქონება ან ფული. ნუგზარ ორდენიძე როგორც სამართალ მემკვიდრე ყოფილი თავმჯდომარის დავით პირველის იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას ამხანაგობა „მზიანეთის“ დაარსებიდან დღემდე წარმოებულ ყველა ფინანსურ და იურიდიულ საქმიანობაზე. ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია გადაანდოს ზემოაღნიშნული უფლებამოსილება სხვა პირს ან პირებს.

ამხანაგობა „მზიანეთის“
დამფუძნებლები,

კრების თავმჯდომარე: /დ. პირველი/

კრების მდივანი: /ნ. ხაჩიძე/

/ნ.ორდენიძე/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131283180
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	09.12.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მათუაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 38 36 32 591 70 99 74
სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციური ნომერი	89713726052313

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათასცამეტი წლის ცხრა დეკემბერს მე, საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 10, მომმართეს დავით პირველმა (დაბ. 22.05.1963წ., მცხ. თბილისი, მირცხულავას ქ. 3ა, ბინა 55, პირადი №01007006048), ნუგზარ ორდენიძემ (დაბ. 05.09.1953წ., მცხ. თბილისი, ვახისუბნის ქ. 12, ბინა 71, პირადი №01017001736) და ნატო ხაჩიძემ (დაბ. 06.05.1966წ., მცხ. თბილისი, დიღმის მასივი III კვ., კორპუსი 18, ბინა 28, პირადი №01006003881). მათ წარმოადგინეს ბ.მ.ა „მზიანეთი“-ს დამფუძნებელთა კრების ოქმი №1/12 და მთხოვეს მასზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, მათი უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მათ მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. *ნოტარიუსმა განუმარტა, რომ ალნიშნულზე ამოწმებს მხოლოდ ხელმოწერას და პასუხს არ აგებს მის შინაარსსა და სამართლებრივ შედეგებზე.* შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი. *ოქმი ხელმოწერილია ორ გვერდად და გაცემულია ოთხ ეგზემპლარად.*

გადახდილია სანოტარო სახელაური ორმოცდარვა ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა *შესრულებისთვის* სახელაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 507-ე დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე რვა ლარი და სამოცდაოთხი თეთრი დღგ, საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად + ორი ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის სახელაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 507-ე დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლის I პუნქტისა.

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131294446
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.12.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მათუაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 38 36 32 591 70 99 74
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	98538640009813

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილის შ/პ ელისო მურღულია, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ # 10, ვადასტურებ: ბმა "მზიანეთის" დამფუძნებელთა კრების ოქმი # 1/12 დამოწმებული 09.12.2013 წელს, ნოტარიუს ნინო მათუაშვილის მიერ, რეგისტრაციის # 131283180 დოკუმენტის ფ/ასლის სისწორეს მის დედანთან. 3 ეგზ 4 გვერდი

გადახდილია საზღაური 7.08 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად - 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის № 507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31 მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლის თანახმად.

ნოტარიუს ნინო მათუაშვილის

შ/პ ელისო მურღულია

17

საქართველო

სანოტარო აქტი
ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა
„ მზიანეთი “-ს
დაფუძნების შესახებ

ნოტარიუსი ელენე ქიხილაშვილი
ქ. თბილისი მ. კოსტავას ქ. №23
ტელ. 99-52-10. 99-62-76

18

სანოტარო აქტი

რეგისტრირებულია რეესტრში № 1-2321

ინდივიდუალურ მეწარმეთა ამხანაგობა „მზიანეთი"-ს

დაფუძნების შესახებ

ქ. ქუთაისი

ორი ათას ოთხი წლის თოთხმეტ აგვისტოს, მე, ელენე ჯიხილაშვილს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. № 23, მომმართეს შემდეგმა სრულწლოვანმა პირებმა: **მურმან ნიკაჭაძემ,** დაბ. 15.07.1965 წელს ზესტაფონში, მცხ. ზესტაფონის რ-ნი, სოფ. ტაბაკინი, პირადი ნომერი №18001006181, პირადობის მოწმობის №დ0182131 გაც. ზესტაფონის შს რაი განყოფილების მიერ 30.12.1997 წელს, **მაია ხეხნიაშვილმა,** დაბ. 28.02.1965 წელს თბილისში, მცხ. თბილისი, ბაგები, წუნეთის გზატკ. 3, ბინა 1, პირადი ნომერი №01008016272, პირადობის მოწმობის №დ0191864 გაც. თბილისის ვაკის რ-ის შს სამმართველოს მიერ 04.06.1998 წელს, **ნატო ხაჩიძემ,** დაბ. 06.05.1966 წელს თბილისში, მცხ. თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპ. 18, ბინა 29, პირადი №01006003881, პირადობის მოწმობის №ა0348590 გაც. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შსს II განყოფილების მიერ 07.05.2001 წელს, **გელა ხარაბაძემ,** დაბ. დაბ. 20.10.1961 წელს თბილისში, მცხ. თბილისი, ხაირმის კორპ. 2, ბინა 24, პირადი №01024018433, პირადობის მოწმობის №ა0152824 გაც. თბილისის საბურთალოს რ-ნის შს სამმართველოს მიერ 14.01.1997 წელს, **მედეა პირველმა,** დაბ. 29.04.1932 წელს რუსეთში, მცხ. თბილისი, დავით აღმაშენებლის №55/1, პირადი №01030035995, პირადობის მოწმობის №ა0447841 გაც. ჩუღურეთის შს რაიგანყოფილების მიერ 30.12.2003 წელს, **დავით პირველმა,** დაბ. 22.05.1963 წელს. თბილისში, მცხ. თბილისი მირცხულავას 3ა, ბინა 55, პირადი №01007006048, პირადობის მოწმობის №ა0154625 გაც. თბილისის დიდუბის რ-ნის შს II ქვეგანყოფილების მიერ 17.03.1997 წელს.

მათ მთხოვეს ამხანაგობა " მზიანეთი"-ს დაფუძნების შესახებ წერილობითი აქტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება ჩემს მიერ.

ვალასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მათი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

მუხლი 1.
ამხანაგობის სახელწოდება,
დამფუძნებლები (მონაწილეები) და სტატუსი

1. ამხანაგობის სრული სახელწოდებაა "ინდივიდუალურ მეწარმეთა ამხანაგობა " მზიანეთი"- (შემდგომში – "ამხანაგობა").

2. ამხანაგობის ხელმძღვანელობის ადგილსამყოფელი განთავსებული იქნება მისამართზე: ქ. თბილისი, ყიფშიძის ქუჩაზე განზოგადებული სადგურის მიმდებარედ, მიწისქვეშა ავტოსადგომთან მისახლებელი გზის გადაღმა.

მაია ხეხნიაშვილი
ნატო ხაჩიძე
გელა ხარაბაძე
მედეა პირველი
დავით პირველი

-28-

18

3. წინამდებარე აქტის დამოწმების დღისათვის ამხანაგობის დამფუძნებლები (მონაწილეები) არიან:

1. მურმან ნიკაჭაძე,
2. მაია სეხნიაშვილი,
3. ნატო ხაჩიძე,
4. მედეა პირველი,
5. გელა ხარაბაძე,
6. დავით პირველი.

4. ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი და იგი არ ისახავს სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას შემოსავლის მიღების მიზნით. ამხანაგობა შექმნილია წინამდებარე აქტის მე-2 მუხლით დადგენილი მიზნით.

5. ამხანაგობა საბანკო დაწესებულებებში გახსნის საბანკო ანგარიშებს, მათ შორის, სავალუტო ანგარიშს.

6. გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციისა და საბანკო ანგარიშის გახსნისათვის საკმარისი იქნება ამხანაგობის წარმომადგენლის უფლებამოსილების მქონე პირის (ამხანაგობის თავმჯდომარის) მიერ წინამდებარე აქტის დედნის, ან დამოწმებული ასლის წარდგენა.

მუხლი 2.
ამხანაგობის მიზანი

1. ამხანაგობის დამფუძნებელთა (მონაწილეთა) მიზანია წინამდებარე აქტით განსაზღვრული წესითა და ვადებში ერთობლივად ამავე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, ამხანაგობის წევრთა, ასევე მშენებლობის პერიოდში მრავალბინიანი ამხანაგობაში გაწევრიანებული ახალი წევრებისათვის საცხოვრებელი სახლის (შემდგომში „საცხოვრებელი სახლი") აშენება.

2. საცხოვრებელი სახლი უნდა აშენდეს მიწის ნაკვეთზე, რომლის მახასიათებლებია:

სარეგისტრაციო ზონა – თბილისი, კოდი –1,
სექტორი ვაკე, კოდი –14,
კვარტლის № 14, ნაკვეთის № 2/52,
ფართობი – 1968 კვ.მ,
მისამართი: ქ. თბილისი, ყიფშიძის ქუჩაზე ბენზოგასამართი სადგურის მიმდებარედ, მიწისქვეშა ავტოსადგომთან მისასვლელი გზის გადაღმა.
საკუთარი/სრული/ცვლილება.
ნაკვეთის წილი № 2
ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო სამეურნეო.
უფლება საერთო საკუთრება.

3. საცხოვრებელი სახლის მშენებლობა უნდა დაიწყოს მშენებლობის ნებართვის აღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა და მისი ექსპლუატაციაში მიღება უნდა მოხდეს მშენებლობის დაწყებიდან 24 თვეში.

მუხლი 3.
დამფუძნებელთა (მონაწილეთა) შენატანი ამხანაგობაში და სხვა ვალდებულებები.

1. ამხანაგობის დამფუძნებლებს (მონაწილეებს) ამხანაგობაში შეაქვთ უძრავი ქონება, ფული და სამუშაოთა შესრულების უზრუნველყოფა, ისე როგორც მითითებულია ამ მუხლის მომდევნო პუნქტებში.

მაია სეხნიაშვილი
გელა ხარაბაძე
მურმან ნიკაჭაძე
მედეა პირველი
დავით პირველი
ნატო ხაჩიძე

2. ამხანაგობის შემდეგმა დამფუძნებლებმა (მონაწილეებმა) **მაია სეხნიაშვილმა და გელა ხარაბაძემ** ამხანაგობაში შეიტანეს შენატანი – მიწის ნაკვეთი, რომლის მახასიათებლებია:

სარეგისტრაციო ზონა – თბილისი, კოდი –1,
სექტორი ვაკე, კოდი –14,
კვარტლის № 14, ნაკვეთის № 2/52,
ფართობი – 1968 კვ.მ,
მისამართი: ქ. თბილისი, ყიფშიძის ქუჩაზე ბენზოგასამართი სადგურის მიმდებარედ, მიწისქვეშა ავტოსადგომთან მისასვლელი გზის გადაღმა.
საკუთარი/სრული/ცვლილება.
ნაკვეთის წინა № 2
ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო სამეურნეო.
უფლება საერთო საკუთრება.

მაია სეხნიაშვილის და გელა ხარაბაძის საკუთრება აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით:

ა) ამონაწერით საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, გაცემული 05.08.2004 წელს, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის №1 რეგისტრატურის მიერ, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო №1/14/14/2/52, განაცხადის რეგისტრაციის 11961/2004, თარიღი: 07.04.2004 (დანართი საკადასტრო რუკა, სარეგისტრაციო №33078/2003, მასშტაბი 1/500; თარიღი 23.09.2003).

ბ) ნასყიდობის ხელშეკრულებით, დამოწმებული ნოტარიუსის ფ. ფირცხალავას მიერ ორი ათას ოთხი წლის ექვს თებერვალს, რეესტრის №1-515.

3. მიწის ნაკვეთი არ არის დატვირთული, რაც დასტურდება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ ორი ათას ოთხი წლის ვამეტ აგვისტოს გაცემული ცნობით №25379. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების განცხადებით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი არ არის სადავო, მესამე პირებს არ შეიძლება ქონდეთ რაიმე პრეტენზია მიწის ნაკვეთის მიმართ, მათ შორის, პრეტენზია საკუთრების უფლებაზე.

4. ამხანაგობის მონაწილეებს **დავით პირველს და გელა ხარაბაძეს** (მიწის ნაკვეთის გარდა) ამხანაგობაში შენატანის სახით ევალებათ საცხოვრებელი სახლის აშენების უზრუნველყოფა.

5. საცხოვრებელი სახლის აშენების უზრუნველყოფა გულისხმობს როგორც სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება-დამტკიცებას, ისე მშენებლობის ფინანსურ უზრუნველყოფას. მშენებლობის ფინანსურ უზრუნველყოფაში იგულისხმება საცხოვრებელი სახლის აშენება ისეთ მდგომარეობაში, რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მისაღებად (მათ შორის, თითოეული ბინის ტიხრები ამოყვანილი, გარე პერიმეტრზე ნასმული ფანჯრები, თითოეულ ბინაზე დაყენებული რკინის კარი, სანტექნიკისა და ელ. გაყვანილობის დგარები, ფასადი და სადარბაზო დასრულებული სახით – შელესილი ან მოპირკეთებული პროექტის მიხედვით, სადარბაზოში დამონტაჟებული ლიფტი და ელექტროგაყვანილობა.

6. მშენებლობის დაფინანსება მოხდება მშენებლობის დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად. ამ ვალდებულების შესასრულებლად თანხებს გაიღებენ **დავით პირველი და გელა ხარაბაძე**.

7. ამხანაგობის დანარჩენ წევრებს ამხანაგობაში შეაქვთ შენატანის სახით შემდეგი რაოდენობის ფულადი სახსრები:

7.1 **მურმან ნიკაჭაძეს** – 50000 (ორმოცდა ათი ათასი) ლარი
7.2. **ნატო ხაჩიძეს** – 20000 (ოცი ათასი) ლარი
7.3. **მედეა პირველს** – 18000 (თვრამეტი ათასი) ლარი.

მაია სეხნიაშვილი
გელა ხარაბაძე
მურმან ნიკაჭაძე

მედეა პირველი
დავით პირველი
ნატო ხაჩიძე

-30-

8. ამხანაგობის მოხაწილეთა შენატანები ხდება ამხანაგობის მოხაწილეთა საერთო საკუთრება. საერთო საკუთრება იქნება აგრეთვე ამხანაგობის საქმიანობის ფარგლებში შეძენილი ქონება და უფლებები, ასევე ის ანაზღაურება, რომელსაც მიიღებს ამხანაგობა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების (განადგურების) შემთხვევაში.

9. ამხანაგობის თითოეული მოხაწილის შენატანის ოდენობა, რაც დადგენილია წინამდებარე აქტით, არ შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს მისი თანხმობის გარეშე.

10. ამხანაგობის მოხაწილენი, რომლებმაც შენატანის სახით შეიტანეს მიწის ნაკვეთი, ამხანაგობის სხვა მოხაწილეების წინაშე პასუხს აგებენ, თუ მიწის ნაკვეთი აღმოჩნდება უფლებრივად და/ან ნივთობრივად ნაკლული. პასუხისმგებლობის განსახღვრისათვის გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები, რომლებითაც დადგენილია გამყიდველის პასუხისმგებლობა უფლებრივი და/ან ნივთობრივი ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვის შემთხვევისათვის, კერძოდ:

ამ შემთხვევაში, თუ შენატანი აღმოჩნდება უფლებრივად და/ან ნივთობრივად ნაკლის მქონე, შენატანის განმხორციელებელი ამხანაგობის წევრები ვალდებულნი არიან თავიანთი ხარჯით გამოასწორონ ეს ნაკლი. თუ ამხანაგობის სხვა წევრები არ მოითხოვენ ნაკლის გამოსწორებას ამხანაგობის წევრების ხარჯით, ისინი უფლებამოსილნი არიან გამოასწორონ ნაკლი თავიანთი ხარჯით და, შესაბამისი ოდენობის ფართი მოაკლდეს შენატანის განმხორციელებელი ამხანაგობის წევრებისათვის გადასაცემ ფართებს.

გელა ხარაბაძის ცოლმა თამარ შანიძემ, რომელსაც შეიძლება რაიმე პრეტენზია ჰქონდეს უძრავ ქონებაზე, თანხმობა განაცხადა წინამდებარე აქტის დადების შესახებ, რის დასტურადაც მან ხელი მოაწერეს სანოტარო აქტს, კერძოდ, განცხადებას, რომელშიც თანახმაა მისმა ქმარმა გელა ხარაბაძემ, თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი შენატანის სახით შეიტანოს ინდივიდუალურ მეწარმეთა ამხანაგობა "მზიანეთში". ხოლო მაია სეხნიაშვილმა განაცხადა, რომ არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, ამდენად შეუძლებელია აღნიშნულ უძრავ ქონებაზე რაიმე პრეტენზია ჰქონდეს მის ქმარს, რის დასტურადაც მან ხელი მოაწერა სანოტარო აქტს, კერძოდ, განცხადებას, რომელშიც აცხადებს, რომ რეგისტრირებულ ქორწინებაში არასოდეს ყოფილა.

გელა ხარაბაძის და თამარ შანიძის ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი დასტურდება შემდეგი დოკუმენტით: **ქორწინების მოწმობა** V-ТИН№4973355, გაცემული ქ. თბილისის ქორწინების სახახლის მიერ 26.10.1992 წელს.

11. ამხანაგობის მოხაწილე, რომელსაც შენატანის სახით ეკისრება საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უზრუნველყოფა, ამხანაგობის სხვა მოხაწილეების წინაშე პასუხს აგებს მშენებლობის დაუფინანსებლობისათვის სამშენებლო დოკუმენტაციით დადგენილ გრაფიკზე ნაშორების შემთხვევაში. პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომელიც არსებობს ამხანაგობის მოხაწილე ვალდებული პირის ნებისაგან დამოუკიდებლად და რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელი იყო ვალდებული პირების ძალისხმევით ანუ თუ ისინი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის შედეგად (ფორს-მაჟორული გარემოებები, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, გაფიცვა, სამხედრო მოქმედება, ბლოკადა), ხოლო მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების დიკვიდაციამდე.

11.1. ამხანაგობის მოხაწილე, რომელსაც შენატანის სახით ეკისრება საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უზრუნველყოფა მოიხიდავს თანხებს მშენებლობის დასაფინანსებლად, ამისათვის მას შეუძლია ამხანაგობაში

გააწევრიანოს ახალი წევრები, რომლებიც შენატანის სახით ამხანაგობაში შემოიტანენ ფულად ან სხვა სახის შენატანებს.

12. იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის მოხანი ვერ იქნება მიღწეული და ამ საფუძველით მოხდება ამხანაგობის ლიკვიდაცია, ამხანაგობის ვალდებულებების შესრულების შემდეგ დარჩენილი ქონება (თუკი იგი ლიკვიდაციის შემდეგ არ გამოვა ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრებიდან – ამხანაგობის ვალების დაფარის მიზნით მისი რეალიზაციის შედეგად) განაწილდება ამხანაგობის მონაწილეებს შორის შემდეგი წესით:

ა) თუ ამხანაგობის ლიკვიდაცია მოხდა მშენებლობის დაწყებამდე ან მშენებლობის დაწყების შემდეგ ისე, რომ აშენებული იქნა საცხოვრებელი სახლის ის ფართი, რომელიც საკმარისია ამხანაგობის იმ წევრთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომლებმაც ამხანაგობაში შეიტანეს მიწის ნაკვეთი, მაშინ მიწის ნაკვეთი და აშენებული სახლის ნაწილი დარჩება ამხანაგობის ამ მონაწილეებს, ასევე ამ პირების დარჩებათ უფლება სამშენებლო დოკუმენტაციაზე (საცხოვრებელი სახლის პროექტი, მშენებლობის ნებართვა და სხვა მსგავსი უფლებები).

ბ) თუ შენობა აშენდა იმაზე მეტი ფართით, ვიდრე საჭიროა ამხანაგობის იმ წევრთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომლებმაც ამხანაგობაში შეიტანეს მიწის ნაკვეთი და ამხანაგობის ის მონაწილეები, რომლებმაც გაღდებულება აიღეს მშენებლობის დაფინანსებისა, ვერ ახერხებენ საცხოვრებელი ბინის დამთავრებას, მიწის ამხანაგობაში შემომტანებისათვის თავისი კუთვნილი ფართის გადაცემის შემდეგ, ისინი ინარჩუნებენ უფლებას დარჩენილ ფართზე და პროექტზე.

13. ამხანაგობის თითოეული მონაწილე პასუხს აგებს ამხანაგობის სხვა წევრებისათვის მიყენებული ზიანის გამო. ამასთანავე, ეს ზიანი არ შეიძლება დაიფაროს ამხანაგობის მიერ მიღებული შემოსავლებით.

მუხლი 4.
მესამე პირისათვის ქონების გადაცემის წესი. ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება

1. თითოეულ დამფუძნებელს ამხანაგობაში თავისი წილი უფლება შეუძლია გადასცეს მესამე პირს ამხანაგობის მონაწილეთა საერთო კრების თანხმობით.

უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას. წილის გადაცემა გულისხმობს უფლების გადაცემას და არა წილის შესაბამისი მატერიალური ნივთის (მიწის ნაკვეთი და სხვა) გასხვისებას.

წილის გასხვისება საჭიროების სანოტარო წესით დამოწმებაა და წინამდებარე აქტში შესაბამისი ცვლილების შეტანას, აგრეთვე საჯარო რეესტრში აღრიცხვას.

2. წილის გაყიდვის შემთხვევაში თითოეულ დამფუძნებელს აქვს მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

3. დამფუძნებელი, რომელიც აპირებს წილის მესამე პირისათვის მიყიდვას, ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს ყველა დამფუძნებელს. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს წილის გამყიდველის ვინაობა, ნასყიდობის ფასი და ნასყიდობის ფასის გადახდის ვადა, აგრეთვე უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს ათ კალენდარულ დღეზე ნაკლები. თუ დადგენილ ვადაში უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე მხარე არ განახორციელებს თავის უფლებას, წილის გამყიდველი უფლებამოსილია წილი მიჰყიდოს მესამე პირს.

4. დამფუძნებელთა ის მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ, რომლებიც გამომდინარეობს წინამდებარე აქტიდან, არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს.

5. ამხანაგობის მონაწილეს უფლება აქვს, აუშენებელი ბინა, რომელიც საჯარო რეესტრში წინასწარი ჩანაწერის სახით აღრიცხულია მის სახელზე,

საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე მიხედის მესამე პირს. ამგვარი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში აუცილებელია ნასყიდობის ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცეს ამხანაგობის თავმჯდომარეს. ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების დადება უნდა მოხდეს საჯარო რეესტრიდან ამონაწერის საფუძველზე და წინარე ხელშეკრულება წინასწარი ნახაწერის განხორციელების მიზნით უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს. საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე და მის შესასრულებლად ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადება დასაშვებია საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ბინის მყიდველი არ ხდება ამხანაგობის წევრი, ხოლო ბინის გამყიდველს არ უმცირდება ამხანაგობის წინაშე რაიმე უფლება-მოვალეობანი.

6. თუ საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მყიდველი მხარე საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების წინ გამოხატავს ამხანაგობაში გაწევრიანების სურვილს და საცხოვრებელი ბინის გამყიდველი მას დაუთმობს შესაბამის წილს, ამხანაგობის წევრები წინასწარ გამოხატავენ თანხმობას საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მხარეებს შორის ამგვარი გარიგების დადების შესახებ და ბინის გამყიდველი თავისი წილის ნაწილის მყიდველისათვის გადაცემის გამო არ საჭიროებს დამატებით თანხმობას ამხანაგობის წევრებისაგან. ითვლება, რომ წინამდებარე ნორმა წარმოადგენს ამხანაგობის წევრების მიერ გასაყიდი წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე უარს და წილის გაყიდვის შესახებ სანოტარო წესით გაფორმებულ თანხმობას.

7. თუ დავით პირველი და გელა ხარაბაძე მოისურვებენ თავიანთი წილი ან წილის ნაწილი ამხანაგობაში დაუთმონ სხვა პირებს, ასეთი გარიგების დასადებად ისინი არ საჭიროებენ ამხანაგობის სხვა წევრთა თანხმობას. მათ აღნიშნული უფლება მინიჭებული აქვთ ამ ხელშეკრულებით.

მუხლი 5.
ამხანაგობის ხელმძღვანელობა

1. ამხანაგობის დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობას გაუძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე.

2) ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია ამხანაგობა წარმოადგინოს დამოუკიდებლად გარდა ამ მუხლის მეოთხე პუნქტით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც საჭიროებს ამხანაგობის ყველა წევრის ნოტარიული წესით გაფორმებულ თანხმობას, კერძოდ :

ა) ამხანაგობის მიერ კრედიტის (სესხის) აღებისა და კრედიტის (სესხის) უზრუნველყოფის (იპოთეკა, გირავნობა და სხვა) ხელშეკრულებისა;

ბ) ამხანაგობის მიერ თავდებობის წერილის გაცემა, ან სხვა მსგავსი გარიგება, მესამე პირთა გარანტიის (თავდებობის) მიღება.

3. ამხანაგობის სახელით შემდეგი გარიგებები დაიდება მხოლოდ ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ:

ა) საცხოვრებელი სახლის აშენების შესახებ გენერალური ხელშეკრულება;

ბ) ამხანაგობის დამფუძნებელთა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების ხელშეკრულება.

4. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ურთიერთობებისა, სხვა ურთიერთობებში ამხანაგობის თავმჯდომარე წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობასა და სასამართლოში, ამხანაგობის დამფუძნებელთა თანხმობის გარეშე დებს ნებისმიერ გარიგებას.

5. ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო-სამეურნეო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებისა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი სავალდებულო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის.

6. ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი და ინფორმაცია (რეგორც ზეპირი, ისე წერილობითი), დაკავშირებული ამხანაგობის საქმიანობასთან.

7. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას. იგი პასუხს აგებს ამხანაგობისათვის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის.

8. ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

9. თითოეულ დამფუძნებელს (მონაწილეს) უფლება აქვს დაუბრკოლებლად გაეცნოს ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტაციას და მიიღოს სხვა ინფორმაცია.

10. ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მან წერილობით უნდა აცნობოს სხვა დამფუძნებლებს (მონაწილეებს).

11. ამხანაგობის თავმჯდომარის შეცვლა საჭიროებს წინამდებარე აქტში ცვლილების შეტანას. კრებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ესწრება და ოქმს აღგენს ნოტარიუსი. კრების ოქმს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე. დასაშვებია ოქმზე კრების სხვა მონაწილეთა ხელმოწერებიც. თუ რაიმე მიზეზით კრების თავმჯდომარე არ აწერს ხელს კრების ოქმს, ამის შესახებ ნოტარიუსი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას ოქმში. ამ შემთხვევაში ოქმს ხელი უნდა მოაწეროს კრების ერთმა მონაწილემ მაინც.

12. ამხანაგობის თავმჯდომარედ დამფუძნებლებმა აირჩიეს **დავით პირველი.**

მუხლი 6
გადაწყვეტილებათა მიღების წესი

1. დამფუძნებლები (მონაწილეები) გადაწყვეტილებას იღებენ ხმათა უმრავლესობით, თუ ამ აქტით დადგენილი არ არის გადაწყვეტილების მიღება ერთხმად.

2. ერთ დამფუძნებელს (მონაწილეს) აქვს ერთი ხმა მიუხედავად მისი წილისა.

მუხლი 7.
ბინების გადანაწილების წესი

1. საცხოვრებელი სახლის სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცების შემდეგ ამხანაგობის დამფუძნებლები (მონაწილეები) ვალდებულნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება ბინების განაწილების შესახებ ამ მუხლის 1.1 ქვეპუნქტით დადგენილი წესით.

1.1. საცხოვრებელი სახლის მთლიანი საცხოვრებელი ფართი იქნება დაახლოებით 14000 კვ.მ., არასაცხოვრებელი ფართი დაახლოებით 6000 კვ.მ. აქედან:

მაია სეხნიაშვილი მიიღებს 300 (სამასი) კვ.მ. ფართის საცხოვრებელ სართულზე, რომელიმეშიც შედის ტიხრების ფართიც; და 100 (ასი) კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართის კერძოდ, მაია სეხნიაშვილის კუთვნილი 300 კვ. მ. ფართიდან -230 კვ მ უნდა მდებარეობარეობდეს შენობის მარჯვენა კუთხის პირველი სადარბაზოს მესამე სართულზე / ერთი ბინა /, დასრულებული

რემონტით. დარჩენილი 70 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი უნდა მდებარეობდეს მეორე სადარბაზოს მესამე სართულზე, დასამთავრებელი რემონტით, გარე კარ-ფანჯარა ჩასმული, შესასვლელი რკინის კარები, ტიხრები აშენებული, ელექტრობა გაყვანილი, გაჯით შეუღებული გალესილი, იატაკი მოჭიმული.

გარემონტებული 230 კვ.მ. საცხოვრებელი ბინა უნდა ჩაბარდეს შემდეგ მდგომარეობაში: კომუნიკაციები ჩართული (კანალიზაცია, წყალი, ელ. ენერგია, გაზი) შესასვლელი რკინის კარები ჩასმული. გარე კარ-ფანჯარა მეტალო-პლასტიკის, შიდა კიბეები ქაბლის გალაქული. პარკეტი წიფლის, მოხვეწილი, სამჯერ გალაქული, პლინტუსები მოთხელილი, კაფელი, უნიტაზები (2-ცალი) ნიჟარები (3-ცალი) სან-ტექნიკა, აბაზანა, სამზარეულო არაქართული წარმოების.

ბინას ექნება ავტონომიური გათბობის სისტემა, ელექტროგაყვანილობები საბელენძის მავრთულებით. დამონტაჟებული იქნება ტელეფონისა და ტელევიზორის სამრთველები. კედლები შელესილი. ჭერი შელესილი უბაზისოდ. ბუნებრივი, აბაზანა, სამზარეულო შეკიდული ჭერით.

ორივე ბინის პროექტი წარდგენის ვალდებულება მაია სეხნიაშვილს ეკისრება. ბინები მას ბარდება ზემოთ აღნიშნულ მდგომარეობაში სახლის ექსპლუატაციაში მიღებისთანავე.

მაია სეხნიაშვილის კუთვნილი 100 კვ.მ. არა საცხოვრებელი ფართი უნდა მდებარეობდეს სახლის მარჯვენა პირველ სადარბაზოს მეორე სართულზე საცხოვრებელი სახლის ქვემოთ ყიფშიძის ქუჩის მხარეს. აღნიშნული ფართი უნდა ჩაბარდეს შემდეგ მდგომარეობაში შესასვლელი რკინის კარები ჩასმული, ელექტრობა, ტელეფონისა და ტელევიზორის კაბელები დამონტაჟებული, გაჯით ლესვა შეკეთებულად შესრულებული, კარ-ფანჯარა მეტალო-პლასტიკის, იატაკი მოჭიმული, ორი ავტოფარეხი.

მურმან ნიკაჭაძე მიიღებს 500 (ხუთასი) კვ.მ. ფართს საცხოვრებელ სართულზე, რომელიშიც შედის ტიხრების ფართიც.

ნატო ხახიძე მიიღებს 160 (ას სამოცი) კვ.მ. ფართს საცხოვრებელ სართულზე, რომელიშიც შედის ტიხრების ფართიც.

მედეა პირველი მიიღებს 70 (სამოცდა ათი) კვ.მ. ფართს საცხოვრებელ სართულზე, რომელიშიც შედის ტიხრების ფართიც.

დავით პირველი მიიღებს 500 (ხუთასი) კვ.მ. ფართს საცხოვრებელ სართულზე, რომელიშიც შედის ტიხრების ფართიც.

გელა ხარაბაძე მიიღებს 500 (ხუთასი) კვ.მ. ფართს საცხოვრებელ სართულზე, რომელიშიც შედის ტიხრების ფართიც.

დანარჩენი მთლიანი ფართი ეკუთვნით დავით პირველს და გელა ხარაბაძეს.

საცხოვრებელ სართულზე ფართები ბარდება შემდეგ მდგომარეობაში: გარე კარ-ფანჯარა ჩასმული, შესასვლელი რკინის კარები ჩასმული, ტიხრები აშენებული და კედლები გაჯით გალესილი.

1.2. ამხანაგობის წევრები მიიღებენ ფართებს (საცხოვრებელ ბინებს და ა.შ.) ბინების განაწილების აქტის და განაწილებული ბინების ფართების დაზუსტებისა და დამატებითი ფართების ღირებულების ანაზღაურების შესახებ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც შედგება საცხოვრებელი სახლის სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცების შემდეგ.

1.3. განაწილებული ბინების ფართების დაზუსტებისა და დამატებითი ფართების ღირებულების ანაზღაურების შესახებ შეთანხმება შედგება წერილობით და დამოწმდება სანოტარო წესით.

2. ამხანაგობის წევრები ბინების განაწილების აქტს ანდობენ ამხანაგობის თავმჯდომარეს; ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მკაცრად დაიცვას ამ მუხლის 1.1 ქვეპუნქტით დადგენილი ნორმები.

მაია სეხნიაშვილი

3. ბინების განაწილების აქტის საფუძველზე საჯარო რეესტრში გაკეთდება წინასწარი ჩანაწერი და ამხანაგობის თითოეული მოსაწილის სახელზე აღირიცხება მის მიერ მისაღები ბინა (სარდაფი, აგებისადგომი) ბინის ნომრისა და საერთო ფართობის ოდენობის მითითებით.

5. საცხოვრებელი სახლი ექსპლუატაციაში მიიღება და საჯარო რეესტრში აღირიცხება ბინების გაყოფის აქტთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრს უნდა წარედგინოს აგრეთვე შეთანხმება განაწილებული ბინების ფართების დაზუსტებისა და დამატებითი ფართების ღირებულების ანაზღაურების შესახებ.

6. საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებისა და საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში აღრიცხვის შემდეგ მიწის ნაკვეთი, რომელზედაც იქნება აშენებული საცხოვრებელი სახლი, იქნება ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის პროპორციულად.

7. ბინების გადანაწილების შესახებ შეთანხმება საჭიროების სანოტარო აქტით გაფორმების.

მუხლი 8.
დამფუძნებელთა (მოსაწილეთა) პასუხისმგებლობა

1. ამხანაგობის დამფუძნებლები (მოსაწილეები) სოლიდარულად აგებენ პასუხს ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი ვალებისათვის მესამე პირების წინაშე.

2. ამხანაგობის თითოეული წევრის (მოსაწილის) პასუხისმგებლობა ერთმანეთთან ურთიერთობაში განისაზღვრება თავიანთი წილების შესაბამისად.

3. თითოეულ დამფუძნებელს (მოსაწილეს) უფლება აქვს სხვა დამფუძნებელს (მოსაწილეს) მოსთხოვოს ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

4. დამფუძნებლები (მოსაწილეები) ვალდებულნი არიან, არ გაახმაურონ ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

მუხლი 9.
ამხანაგობიდან გასვლის წესი

1. თითოეულ დამფუძნებელს (მოსაწილეს) უფლება აქვს ნებისმიერ დროს გავიდეს ამხანაგობიდან. ამასთანავე, ამხანაგობიდან გასვლა არ დაიშვება ისეთ დროს, ან ისეთ გარემოებებში, რაც საზიანო იქნება ამხანაგობისათვის.

ამხანაგობიდან გამსვლელი ვალდებულია გასვლის შესახებ გასვლამდე სამი თვით ადრე წერილობით აცნობოს ამხანაგობის თავმჯდომარეს.

2. ამხანაგობიდან ერთ-ერთი დამფუძნებლის (მოსაწილის) გასვლისას გასული მხარის წილი ნაწილდება დარჩენილ დამფუძნებლებს (მოსაწილეებს) შორის მათი წილების პროპორციულად, თუ დამფუძნებლები (მოსაწილეები) ერთხმად არ დაადგენენ წილების განაწილების სხვა პროპორციას.

3. გამსვლელ დამფუძნებელს (მოსაწილეს) უნდა მიეცეს თავისი წილის ფულადი კომპენსაცია. კომპენსაციის ოდენობა დგინდება ამხანაგობის ბალანსზე არსებული ქონების საბალანსო ღირებულებიდან. ამასთან, მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარიგებები (ამხანაგობის ვალდებულებები).

4. თუ გასვლის დროისათვის ამხანაგობის საერთო ქონება ვერ ფარავს ამხანაგობის საერთო ვალებს, გამსვლელი დამფუძნებელი (მოსაწილე) ვალდებულია ვალების დაფარვის მიზნით დარჩენილ დამფუძნებლებს (მოსაწილეებს) გადაუხადოს თავისი წილის შებამისი თანხა. გამსვლელი დამფუძნებლის (მოსაწილის) ვალდებულება გასვლის მომენტში არსებული კრედიტორების წინაშე უცვლელია.

მუხლი 10.

ამხანაგობის ვადა

1. ამხანაგობა შექმნილია საცხოვრებელი სახლის აშენების ვადით. საცხოვრებელი სახლის აშენების ვადა დადგინდება საშენებლო დოკუმენტაციით. ამასთანავე, ამხანაგობა მოქმედებას წყვეტს ამხანაგობის ყველა ვალდებულების შესრულების შემდეგ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით.

2. ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება:

ა) თუ ამხანაგობაში დარჩა ერთი დამფუძნებელი (მონაწილე);

ბ) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა გაფორმდეს სანოტარო აქტით.

3. ამხანაგობის ერთ-ერთი დამფუძნებლის (მონაწილის) უფლებაუნარიანობის შეწყვეტის შემთხვევაში (გარდაცვალება) მის ადგილს იკავებს მემკვიდრე.

4. ერთერთი მონაწილის (დამფუძნებლის) არაქმედუნარიანად გამოცხადება არ აწვევს ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტას. არაქმედუნარიანად ცნობილი პირის უფლებებს განახორციელებს მისი მეურვე.

მუხლი 11.
ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის წესი

1. ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტისას უნდა დამთავრდეს ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები, შეგვეს საინვენტარიზაციო ნუსხა, შემდეგ დაიფარის არსებული ვალები. თუ ამხანაგობის საქმიანობით მიღებული შემოსავლები არ არის საკმარისი ვალების დასაფარავად, დამფუძნებლები (მონაწილენი) ვალდებულნი არიან ვალები დაფარონ ამხანაგობის ქონებიდან, მათი წილების პროპორციულად.

2. იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის საქმიანობის ლიკვიდაცია ხდება საცხოვრებელი სახლის მშენებლობის არაჯეროვანი დაფინანსების გამო, ამხანაგობის საქმიანობის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სხვა შემთხვევაში, ამხანაგობის დარჩენილი ქონება ნაწილდება მისაღები ფარდების პროპორციულად ამ მუხლის მომდევნო პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 12.
ამხანაგობის წიგნი და მისი წარმოების წესი

1. ამხანაგობა ვალდებულია ამ მუხლით დადგენილი წესით აწარმოოს ამხანაგობის წიგნი, რომელიც უნდა იყოს ხელნარგაწრილი და დანომრილი. ხელის შეკვრის ადგილზე ხელი უნდა მოაწეროს წიგნის წარმოებაზე პასუხისმგებელმა პირმა.

2. ამხანაგობის წიგნის წარმოების მიზანია:

ა) ამხანაგობის მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის აღრიცხვა;

ბ) ამხანაგობის წევრთა მიერ ამხანაგობაში შენატანების შეტანის მდგომარეობის (შესრულებული და შეუსრულებელი ვალდებულებების) ზუსტი აღრიცხვა;

გ) ამხანაგობის საქმიანობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება ამხანაგობის წევრების მიერ, ხოლო ამ მუხლით დადგენილ შემთხვევაში და წესით – მესამე პირების მიერაც;

დ) წინამდებარე აქტში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, ამხანაგობის წევრთა ცვლილებების ასახვა;

ვ) ამხანაგობის მიერ ასაშენებელი საცხოვრებელი ბინების მიღებაზე უფლებამოსილი ამხანაგობის წევრების ხუსტი აღრიცხვა და ორმაგი გარიგების შესაძლებლობის გამორიცხვა.

3. ამხანაგობის წიგნი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) პირველი ნაწილი – "ამხანაგობის დამფუძნებელი დოკუმენტაცია", რომელშიც უნდა ჩაიწეროს:

– ამხანაგობის დამფუძნებელი აქტისა (წინამდებარე აქტის) და მასში ცვლილებების შემცველი აქტის ხუსტი დასახელება, აგრეთვე ბინების განაწილების აქტი;

– აქტის შედგენის თარიღი;

– აქტის მიმღები (დამმოწმებელი) ნოტარიუსის სახელი და გვარი და სანოტარო მოქმედებების რეგისტრაციის ჟურნალში აქტის რეგისტრაციის ნომერი;

– აქტის მოკლე შინაარსი;

ბ) მეორე ნაწილი: "ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა", რომელშიც უნდა ჩაიწეროს:

– ამხანაგობის წევრის სახელი და გვარი, იდენტიფიკაციის მონაცემები (დაბადების ხუსტი თარიღი, პირადობის დამდგენი დოკუმენტის რეკვიზიტები);

– ამხანაგობის წევრთა ვალდებულებები (შესრულებული და შეუსრულებელი ვალდებულებები);

– ინფორმაცია ამხანაგობიდან გასვლის შესახებ (ამხანაგობიდან გასვლის თარიღი, გასვლის შესახებ აქტი და მისი რეკვიზიტები);

– ინფორმაცია ამხანაგობიდან გასული წევრის მიმართ ანგარიშსწორების შესახებ;

გ) მესამე ნაწილი: "ბინების განაწილების შესახებ ინფორმაცია":

– ბინის ნომერი, სადარბაზო, სართული და ბინის ფართობი, სარდაფი, აუზოსადგომი (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი ფართობი;

– პირი, რომელსაც აქვს უფლება ბინაზე (პირის სახელი და გვარი და იდენტიფიკაციის მონაცემები).

– შენიშვნა.

დ) მეოთხე ნაწილი: "ამხანაგობის წევრთა კრებები:"

– ამხანაგობის წევრთა კრების რიგითი ნომერი;

– ამხანაგობის წევრთა კრების ჩატარების თარიღი;

– ამხანაგობის წევრთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ე) მეხუთე ნაწილი: "ამხანაგობის თავმჯდომარე"

– ამხანაგობის თავმჯდომარის სახელი და გვარი (იდენტიფიკაციის სხვა მონაცემები);

– ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევის თარიღი;

– შენიშვნა (ამხანაგობის თავმჯდომარის შეცვლის შესახებ ინფორმაცია);

5. ამხანაგობის წიგნის თითოეული ნაწილი, გარდა ამ მუხლის მეოთხე პუნქტში მითითებული გრაფებისა, შეიცავს შემდეგ გრაფებს:

– ამხანაგობის წიგნში ჩანაწერის შესრულების საფუძველი (აქტი, დოკუმენტი და მისი რეკვიზიტები)

– ამხანაგობის წიგნის შესაბამის ნაწილში ჩანაწერის თარიღი;

– ამხანაგობის წიგნის შესაბამის ნაწილში ჩამწერი პირების ხელმოწერები.

6. ამხანაგობის წიგნს ამ მუხლით დადგენილი წესით აწარმოებს ამხანაგობის თავმჯდომარე. ის პასუხს აგებს ამხანაგობის წიგნის სწორი და ხუსტი წარმოების უზრუნველყოფაზე.

7. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია ამხანაგობის წიგნი შესანახად მიაბაროს ნოტარიუსს.

8. ამხანაგობის წიგნში თითოეული ჩაწერა სორკილდება ამხანაგობის თავმჯდომარეთა მიერ ერთმანეთისა და წიგნის შემნახველი ნოტარიუსის თანდასწრებით.

9. ამხანაგობის თავმჯდომარე წიგნის შემნახველ ნოტარიუსს წიგნში ჩანაწერის შესრულებამდე წარუდგენენ იმ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს ჩაწერა.

10. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია არის ჩაწერისთანავე წიგნის შემნახველ ნოტარიუსს მოსთხოვოს და მიიღოს მოწმობა ფაქტის დადასტურების შესახებ (ამხანაგობის წიგნში ჩანაწერის შესრულების შესახებ).

მუხლი 13.
დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე აქტი ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან და წარედგინება საჯარო რეესტრს.

2. წინამდებარე აქტში ცვლილებები შეიტანება წერილობით და ძალაში შედის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე. ამასთან, თუ ცვლილება თავისი შინაარსის გამო ექვემდებარება საჯარო რეგისტრში რეგისტრაციას, ცვლილებები უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს.

3. წინამდებარე აქტის მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს იმ მუხლების გაუქმებას, რომლებითაც დადგენილია დამფუძნებელთა (მონაწილეთა) ვალდებულებები ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის პერიოდში.

4. წინამდებარე აქტი შედგენილია ათ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსთან - სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა ამხანაგობის მონაწილეებს. აქტის ყველა ეგზემპლიარს თან ერთვის საკადასტრო რუკის (სარეგისტრაციო ნომერი 33078/2003, თარიღი 23.09.203 წ. გაცემული საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის რეგისტრატურა №1-ის მიერ), ასლები დამოწმებული ქალაქ ყობულეთის მიერ ორი ათას ოთხი წლის თითხმეტ აგვისტოს, რეესტრის N 1-2308, 1-2309, 1-2310, 1-2311, 1-2312, 1-2313, 1-2314, 1-2315, 1-2316, 1-2317.

5. წინამდებარე აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი ექვსი დოკუმენტი:

5.1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, გაცემული ორი ათას ოთხი წლის ხუთ აგვისტოს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის №1 რეგისტრატურის მიერ, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო №1/14/14/2/52, განაცხადის რეგისტრაციის 11961/2004, თარიღი: 07.04.2004.

5.2. ნასყიდობის ხელშეკრულების (დამოწმებული ნოტარიუსის ქ. ფირცხალავას მიერ ორი ათას ოთხი წლის ექვს თებერვალს, რეესტრის №1-515) ასლი, დამოწმებული ნემს, ნოტარიუსის ქალაქ ყობულეთის მიერ ორი ათას ოთხი წლის თითხმეტ აგვისტოს, რეესტრის №1-2318.

5.3. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ ორი ათას ოთხი წლის ვამეტ აგვისტოს გაცემული №25379 ცნობა უძრავ ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ.

5.4. ქორწინების მოწმობის (V-ТИ№497355 გაც. ქ. თბილისის ქორწინების სახახლის მიერ 24.10.1992 წ.) ასლი დამოწმებული ნემს, ნოტარიუსის ქალაქ ყობულეთის მიერ ორი ათას ოთხი წლის თითხმეტ აგვისტოს, რეესტრის №1-2303.

5.5. მაია ხუხიაშვილის განცხადება, დამოწმებული ნემს, ნოტარიუსის ქალაქ ყობულეთის მიერ ორი ათას ოთხი წლის თითხმეტ აგვისტოს, რეესტრის №1-2306.

5.6. თამარ შანიძის განცხადება დამოწმებული ნემს, ნოტარიუსის ქალაქ ყობულეთის მიერ ორი ათას ოთხი წლის თითხმეტ აგვისტოს, რეესტრის №1-2319.

მაია ხუხიაშვილი

სანოტარო მომსახურების ხარჯები გამოთვლილია ამხანაგობის მონაწილეთა მიერ გაცხადებული გარიგების ღირებულების საფუძველზე, რომელიც შეადგენს **200000** (ორასი ათასი) ლარს, მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის პროექტის მიხედვით.

გადახდილია სანოტარო მომსახურების ხარჯები: 562ლ 20თ ([illegible])

თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი, 1998 წ. №1417) 22-ე და 31-ე მუხლების.

მე, ნოტარიუსმა ელენე ყიზილაშვილმა ამხანაგობის დამფუძნებლებს (მონაწილეებს) წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. დამფუძნებლებმა (მონაწილეებმა) წაიკითხეს წინამდებარე აქტი, განაცხადეს, რომ იწონებენ მას და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.

ყოველივე ზემოთქმულს ვამოწმებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მიშა სეხნიაშვილი
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]

31

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N130667345
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	03.07.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	სანოტარო არქივში დაცული დოკუმენტის ასლის ან ამონაწერის გაცემა
ნოტარიუსი	ელენე ყიზილაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ. 23
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	995322995210; 99590411423
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	89440859141513

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ცამეტი წლის სამ ივლისს მე ნოტარიუსს ელენე ყიზილაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №23, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა დავით პირველი (დაბადებული 22.06.1963 წელს თბილისში, თავისი განცხადებით მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მირცხულავას ჰა. ბინა №67, პირადი №01007006048)

მან მთხოვა სანოტარო არქივში დაცული დოკუმენტის - ხელშეკრულების, დადასტირებული ჩემს, ნოტარიუსის ელენე ყიზილაშვილის მიერ 2004 წლის 14 აგვისტოს, რეესტრში №1-2321, სანოტარო წესით დამოწმებული ასლის გაცემა. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მისი უფლებამოსილება.

რის შემდეგაც დავამოწმე სანოტარო არქივში დაცული დოკუმენტის ასლის ნამდვილობა მის დედანთან თოთხმეტ გვერდზე, ორ ეგზემპლარად.

გადახდილია: სანოტარო მომსახურების საზღაური – 6,00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011წ.) 2-ე მუხლის, ღღგ – 1,08 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის; სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური – 2,00 ლარი (ღღგ-ს ჩათვლით) თანახმად აღნიშნული დადგენილების (29.12.2011წ.) 39-ე მუხლის; სულ გადახდილია: 9,08 ლარი (ცხრა ლარი და რვა თეთრი).



36

ურთიერთშეთანხმება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „მზიანეთი“-ს დაფუძნების აქტში ცვლილებების შეტანის აქტი (დამოწმებული 2004 წლის 14 აგვისტოს ნოტარიუს ელენე ყიზილაშვილის მიერ რეესტრით 1-2321)

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „მზიანეთი“-ს დამფუძნებლის, წევრის და თავმჯდომარის დავით პირველის (პირადი №01007006048) დამფუძნებლობის და წევრობის რიგებიდან გასვლის (თანახმად ი/მ/ა „მზიანეთი“-ს დამფუძნებელთა კრების ოქმისა დამოწმებული 2013 წლის 09 დეკემბერს ნოტარიუს ნინო მათუაშვილის მიერ), ასევე თავმჯდომარეობიდან გადადგომის გამო (თანახმად ი/მ/ა „მზიანეთი“-ს დამფუძნებელთა კრების ოქმისა, დამოწმებული 2013 წლის 09 დეკემბერს ნოტარიუს ნინო მათუაშვილის მიერ) ბ/მ/ა „მზიანეთი“-ს დაფუძნების აქტში შევიდეს ცვლილება, კერძოდ დავით პირველი, როგორც დამფუძნებელი და წევრი ჩაანაცვლა ზაზა უბრეხელიძემ (დაბ. 16.02.1967წ., მცხ. თბილისი, ვარკეთილის მეურნეობა დას. მეგობრობის ქ. 20, პირადი №01024005303), ხოლო როგორც თავმჯდომარე ნუგზარ ორდენიძემ (პირადი №01006003881)

ამრიგად, 2004 წლის 14 აგვისტოს ი/მ/ა „მზიანეთი“-ს დაფუძნების აქტის (დამოწმებული 2004 წლის 14 აგვისტოს ნოტარიუს ელენე ყიზილაშვილის მიერ რეესტრით 1-2321) მუხლი I, პ 3 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. ამხანაგობის დამფუძნებლები (მონაწილეები) არიან:
1. მურმან ნიკაჭაძე
2. მაია სეხნიაშვილი
3. ნატო ხაჩიძე
4. ნუგზარ ორდენიძე
5. ზაზა უბრეხელიძე

ზემოთაღნიშნულ დაფუძნების აქტში დავით პირველის ყველა ვალდებულება, რაც ეხება ამხანაგობის წინაშე დაფუძნებასა და წევრობას გადადის ზაზა უბრეხელიძეზე, ხოლო რაც ეხება თავმჯდომარეობას – გადადის ახალ თავმჯდომარეზე ნუგზარ ორდენიძეზე.

ამრიგად, ზემოხსენებულ დაფუძნების აქტში ყველა მუხლი, სადაც მოხსენიებულია დავით პირველი როგორც დამფუძნებელი და წევრი ჩაანაცვლოს ზაზა უბრეხელიძემ, ხოლო სადაც კი მოხსენიებულია როგორც თავმჯდომარე ჩაანაცვლოს ნუგზარ ორდენიძემ. დაფუძნების აქტის ყველა დანარჩენი მუხლი რჩება უცვლელი.

აღნიშნული ცვლილების აქტი წარმოადგენს 2004 წლის 14 აგვისტოს ი/მ/ა „მზიანეთი“-ს დაფუძნების აქტის (დამოწმებული 2004 წლის 14 აგვისტოს ნოტარიუს ელენე ყიზილაშვილის მიერ რეესტრით 1-2321) განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. წინამდებარე შეთანხმება ექვემდებარება რეგისტრაციას საჯარო რეესტრში.

დავით პირველი

ზაზა უბრეხელიძე

ამხანაგობის თავმჯდომარე

ნუგზარ ორდენიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131294331
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.12.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მათუაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 38 36 32 591 70 99 74
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	33445002231013

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილის შ/პ ელისო მურღულია, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ # 10, ვადასტურებ: ურთიერთშეთანხმების, ი.მ ა "მზიანეთი"-ს დაფუძნების აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ, დამოწმებული 09.12.2013 წელს, ნოტარიუს ნინო მათუაშვილის მიერ, რეგისტრაციის # 131283195 დოკუმენტის ფ/ასლის სისწორეს მის დედანთან. 3 ეგზ 2 გვერდი

გადახდილია სახელმწიფო 3.54 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად - 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის № 507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი სახელმწიფოს ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31 მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლის თანახმად.

ნოტარიუს ნინო მათუაშვილის

შ/პ ელისო მურღულია

ი.მ.ა ამხანაგობა „მზიანეთი“-ის დამფუძნებელთა

კ რ ე ბ ი ს ო ქმ ი N2/1

ქ.თბილისი 07.03.2017

კრება ჩატარდა: ქ. თბილისი, ყიფშიძის ქუჩაზე, მიწისქვეშა ავტოსადგომის შესასვლელის მიმდებარედ/ქალაქი თბილისი, ყიფშიძის ქუჩაზე ბენზოგასამართი სადგურის მიმდებარედ, მიწისქვეშა ავტოსადგომთან მისასვლელი გზის გადაღმა.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა: ნუგზარ ორდენიძე

კრების მდივნად არჩეულ იქნა: ზაზა უგრეხელიძე

კრებას ესწრებოდნენ: ამხანაგობის თავმჯდომარე, დამფუძნებელი ნუგზარ ორდენიძე (პ/ნ 01017001736),ასევე, ზაზა უგრეხელიძე(პ/ნ 01024005303), ნატო ხაჩიძე(პ/ნ01006003881), მურმან ნიკაჭაძე (პ/ნ18001006181), მაია სეხნიაშვილი(პ/ნ01008016272).

დღის წესრიგი

1) მაია სეხნიაშვილის ამხანაგობა „მზიანეთი“-ს დამფუძნებლობიდან გასვლა.

კრებაზე მაია სეხნიაშვილმა განაცხადა რომ უძრავ ქონებებს, მდებარე შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ყიფშიძის ქუჩაზე ბენზოგასამართი სადგურის მიმდებარედ, მიწისქვეშა ავტოსადგომთან მისასვლელი გზის გადაღმა, მშენებარე სახლის მე-3 სადარბაზოში, III სართულზე 131,3 კვ.მ ფართის ბინა, II სადარბაზოში III -ე სართულზე 55.7 კვ.მ ფართის ბინა, I სადარბაზოში III-ე სართულზე 118,5 კვ.მ ფართის ბინა და ასევე, ერთი ავტომანქანის სადგომს -3 სართულზე, გადასცემს მის დედას მზია ვარდიშვილს (პ/ნ01008016271) და მის შვილს გიორგი ქათამაძეს (პ/ნ01008060763), რომელსაც მას გადასცემს ი.მ.ა ამხანაგობა „მზიანეთი“ მაია სეხნიაშვილის 2009 წლის 16 თებერვლის „განშლის“ კრების ოქმის საფუძველზე მიღებული ფართების (რომელზეც არსებობს საჯარო რეესტრის ამონაწერები საკადასტროკოდებით:01.14.14.002.101.01.01.001;01.14.14.002.101.01.01.007; 01.14.14.002.101.01.01.068)სანაცვლოდ.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით, კრებაზე სიტყვით გამოვიდა ამხანაგობის თავმჯდომარე (დამფუძნებელი) ნუგზარ ორდენიძე. მან კრებას განუმარტა, რომ ვინაიდან დღეის მდგომარეობით მაია სეხნიაშვილს ზემოაღნიშნულ მისამართზე ფართები აღარ გააჩნია მაია სეხნიშვილი გადის ამხანაგობის დამფუძნებლობიდან.

ზემოხსენებული კრების ოქმისა და ამ კრების ოქმში ჩამოთვლილი უძრავი ქონებების მზია ვარდიშვილზე და გიორგი ქათამაძისთვის ნოტარიული წესით დამოწმებული ხელშეკრულებებით გადაცემის შემდეგ მაია სეხნიაშვილი აცხადებს, რომ მას არანაირი პრეტენზია არ გააჩნია ამხანაგობა „მზიანეთის" მიმართ.

კრებამ ერთხმად დაადგინა:

რომ მაია სეხნიაშვილმა მოთხოვნის უფლება უძრავ ქონებებზე, მდებარე შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ყიფშიძის ქუჩაზე ბენზოგასამართი სადგურის მიმდებარედ, მიწისქვეშა ავტოსადგომთან მისასვლელი გზის გადაღმა, მშენებარე სახლის მე-3 სადარბაზოში, III სართულზე 131,3 კვ.მ ფართის ბინა, II სადარბაზოში III -ე სართულზე 55.7 კვ.მ ფართის ბინა, I სადარბაზოში III-ე სართულზე 118,5 კვ.მ ფართის ბინა და ასევე, ერთი ავტომანქანის სადგომს -3 სართულზე დაუთმო მის დედას მზია ვარდიშვილს (პ/ნ01008016271) და მის შვილს გიორგი ქათამაძეს (პ/ნ01008060763), რომლებსაც მას გადასცემს ი.მ.ა ამხანაგობა „მზიანეთი" მაია სეხნიშვილის 2009 წლის 16 თებერვლის „განშლის" კრების ოქმის საფუძველზე მიღებული ფართების (რომელზეც არსებობს საჯარო რეესტრის ამონაწერები საკადასტროკოდებით:01.14.14.002.101.01.01.001;01.14.14.002.101.01.01.007; 01.14.14.002.101.01.01.068)სანაცვლოდ.

ვინაიდან დღეის მდგომარეობით მაია სეხნიაშვილს ზემოაღნიშნულ მისამართზე ფართები აღარ გააჩნია მაია სეხნიშვილი წინამდებარე კრების ოქმზე ხელმოწერით გადის ამხანაგობის დამფუძნებლობიდან და ამ კრების ოქმში ჩამოთვლილი უძრავი ქონებების მზია ვარდიშვილისთვის და გიორგი ქათამაძისთვის ნოტარიული წესით დამოწმებული ხელშეკრულებებით გადაცემის შემდეგ მაია სეხნიაშვილი აცხადებს, რომ მას არანაირი პრეტენზია აღარ გააჩნია ამხანაგობა „მზიანეთის" მიმართ.

კრების თავმჯდომარე: ნუგზარ ორდენიძე

კრების მდივანი: ზაზა უგრეხელიძე

დამფუძნებელი წევრები:

მაია სეხნიაშვილი

ნატო ხაჩიძე

მურმან ნიკაჭაძე

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ჩვიდმეტი წლის შვიდ მარტს **მე, ნოტარიუს ნანა ბაკურაძეს** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, **კოსტავას ქ. №76-ში**, მომმართეს იმა **„მზიანეთი"-ს კრების თავმჯდომარემ ნუგზარ ორდენიძემ, კრების მდივანმა ზაზა უგრეხელიძემ და დამფუძნებელმა წევრებმა: მაია სეხნიაშვილმა, ნატო ხაჩიძემ და მურმან ნიკაჭაძემ.** მათ წარმოადგინეს **07.03.2017წ. კრების ოქმი №2/1** და მოითხოვეს მასზე თავიანთი ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მათი პირადობა, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ნუგზარ ორდენიძემ** (დაბადებული 05.09.1953წ. ო'ზურგეთში, რეგისტრირებული მისამართზე დ. წყნეთი, არსენას ქ. №23, ბარათის №15IE56158, პირადი: 01017001736, გაც. იუსტიციის სუმინისტროს მიერ 15.09.2016წ.), **ზაზა უგრეხელიძემ** (დაბ. 16.02.1967წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი, მეგობრობის ქ. №20, ბარათის №13IC22741, პირადი : 01024005303, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 15.10.2013წ.), **მაია სეხნიაშვილმა** (დაბ. 28.02.1965წ. თბილისში, მცხოვრები მის მიერ გაცხადებულ მისამართზე თბილისი, სუნდუკიანის 9, საქართველოს მოქალაქის პასპორტი 09AR52429, პირადი : 01008016272, გაცემული იუსტიციის სამინისტროს/ვაკე/ მიერ 10.03.2010წ.), **ნატო ხაჩიძემ** (დაბ. 06.05.1966წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი, დიღმის მას. III კვ. კორპ. 18, ბინა 29, ბარათის №13IL00584, პირადი : 01006003881, გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 05.06.2015წ.) და **მურმან ნიკაჭაძემ** (დაბ. 15.07.1965წ. ზესტაფონში, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი, გლდანის ხევი, კორპ. 3ა, ბინა 100, ბარათის №13IN78106, პირადი : 18001006181, გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 23.09.2015წ.) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მათ განაცხადეს, რომ წინამდებარე **კრების ოქმი** ზუსტად გამოხატავს მათ ნებას, შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი მას.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე კრების ოქმის 3 ეგზემპლიარზე შესრულებული 15 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 30 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა), ავრეთვე დღგ 5 ლარი და 40 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 37 ლარი და 40 თეთრი.

ნოტარიუსი ნანა ბაკურაძე

საქართველო GEORGIA. NOTARY NANA BAKURADZE 01024030536

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170230521
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	07.03.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნანა ბაკურაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 33 18 67
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	47181118196317

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18